„ქართული ოცნების“ ნარატიული პროპაგანდის ანალიზი გამჭვირვალობის კანონის მიღების პროცესში

ნათია თვალიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა : ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი
საზოგადოებასთან ურთიერთობა

ხელმძღვანელი: პროფესორი- ნინო რჩეულიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია თვალიაშვილი

19/06/2025

აბსტრაქტი

შავი პროპაგანდის გამოყენება პოლიტიკურ კომუნიკაციაში ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს, განსაკუთრებით პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის, სადაც რუსული პროპაგანდის გავლენები ძლიერია. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია რომ კრემლი რბილი ძალის საშუალებით ცდილობს მეზობელ ქვეყნებში შიდა პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლის დამყარებას და საზოგადოებაში ანტიდასავლური ნარატივების კულტივირებას.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია რუსეთის საინფორმაციო გავლენების დადგენა „ქართული ოცნების“ მიერ წარმოებულ პროპაგანდაში გამჭვირვალობის კანონის მიღების ეტაპზე. კერძოდ, კვლევა ფოკუსირებულია 2024 წლის აპრილ-მაისის პერიოდზე და „ქართული ოცნების“ ნარატიული პროპაგანდის სტრატეგიულ ანალიზზე. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა თეორიული მიმართულება: შავი პროპაგანდა, ლ.ჯ. შრუმის „კულტივირების თეორია“, ნოამ ჩომსკის „ილუზიის აუცილებლობა“, ჟაკ ჟერსტლეს პოლიტიკური კომუნიკაციის კონცეფციები. აღნიშნული თეორიები ერთობლივად ყველაზე უკეთ ხსნის „ქართული ოცნების“ მიერ გამოყენებული საინფორმაციო ომის ტექნიკებსა და სტრატეგიებს. კვლევითი დოკუმენტი მოიცავს როგორც რუსული, უნგრული და სლოვაკური შემთხვევების მიმოხილვას, ისე საქართველოში ანტიდასავლური პროპაგანდის წარმოების პროცესს და მასში ჩართულ აქტორებს, რომლებიც ემსახურებიან რუსული გავლენების გავრცელებას ქვეყნის შიგნით. კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში ალისტერ მისკიმონის სტრატეგიული ნარატივის ჩარჩოს გამოყენებით მოხდა „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ლიდერების გზავნილების გაანალიზება, რომლებსაც გამჭვირვალობის კანონის დროს იყენებდნენ. ანალიზის საფუძველზე მოხდა მსგავსებების დადგენა „ქართული ოცნებისა“ და კრემლის მიერ გამოყენებულ ნარატივებს შორის. გარდა ამისა, იგივე ტენდენციები გამოიკვეთა უნგრეთის და სლოვაკეთის სახელისუფლებო ძალების მიერ წარმოებულ

პროპაგანდისტულ რიტორიკაშიც, რაც საფუძვლიან ეჭვს აჩენს „ქართულ ოცნებაზე“ რუსული გავლენების არსებობის აპექტში.

და ბოლოს, „ქართული ოცნების“ რიტორიკა გამჭვირვალობის კანონის პოპულარიზაციის პროცესში მიზნად ისახავდა ანტიდასავლური განწყობების ფორმირებას და გაღვივებას ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში, რის საფუძველზეც მიზანმიმართულად თუ უნებლიედ გაიზარდა კრემლის გავლენებისადმი საქართველოს დაუცველობა და რუსული პროპაგანდის მიმართ მისი მოწყვლადობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიტკური კომუნიკაცია, შავი პროპაგანდა, ნარატიული პროპაგანდა, რუსული პროპაგანდა, ანტიდასავლური პროპაგანდა, „რუსული კანონი“, სტრატეგიული ნარატივი, უცხოური აგენტი, გამჭვირვალობის კანონი.

Abstract

The use of black propaganda in political communication poses a major challenge, especially for post-Soviet countries where Russian influence remains significant. In this context, the Kremlin actively employs soft power mechanisms to exert control over internal political processes in neighboring states and promote anti-Western narratives within their societies.

This master’s thesis investigates Russian information influence within the propaganda strategies employed by the ruling Georgian Dream party during the legislative process for the so-called “foreign agents law.” The research focuses specifically on April–May 2024 and offers a strategic analysis of Georgian Dream’s narrative propaganda. The study draws on a range of theoretical

frameworks, including the concept of black propaganda, L.J. Shrum's cultivation theory, Noam Chomsky's "necessary illusion," and Jacques Gerstlé's theories of political communication. Together, these theories offer a comprehensive lens through which to analyze the techniques and strategies of information warfare adopted by Georgian Dream.

The thesis also provides a comparative overview of the Russian, Hungarian, and Slovak cases and examines the development of anti-Western propaganda in Georgia, as well as the actors involved in promoting Russian influence domestically. Methodologically, the research applies Alister Miskimmon's strategic narrative framework to analyze statements made by Georgian Dream political leaders during the legislative campaign for the foreign agents law. This analysis identifies strong similarities between the narrative structures used by Georgian Dream and those employed by the Kremlin. Similar patterns were also found in the government propaganda rhetoric of Hungary and Slovakia, raising serious concerns about Russian influence on Georgian Dream's agenda.

Ultimately, the thesis concludes that Georgian Dream's rhetoric during the promotion of the foreign agents law aimed—intentionally or not—to cultivate anti-Western sentiment within Georgian civil society. As a result, Georgia's vulnerability to Russian influence and susceptibility to propaganda increased significantly.

Keywords: Political communication, Black propaganda, Narrative propaganda, Russian propaganda, Anti-Western propaganda, "foreign agents law," strategic narrative, foreign agent, transparency law.

მადლობა

მსურს მადლობა გადავუხადო, თემის ხელმძღვანელ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პროფესორს - ნინო რჩეულიშვილს, კვლევაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.